



სტუდენტის სტატუსის მოპოვება პროფესიულ პროგრამებზე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოპოვება რეგულირდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) სრული ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) სამხედრო აღრიცხვის ბარათი (ვაჟების შემთხვევაში);
- ე) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე;

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე გამოიცემა დირექტორის მიერ სამართლებრივი აქტი ჩარიცხვაზე, აბიტურიენტთან ფორმდება ხელშეკრულება და მონაცემები შეიყვანება ერთიან სტუდენტურ ბაზაში.

ხელშეკრულება სტუდენტსა და კოლეჯს შორის იდება ერთხელ და ის მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში.